საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/6694
27/08/2019

6694-09-2-201908271807

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

პროგრამის კოორდინატორს ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 16 აგვისტოს, სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი წერილის (N13661) საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა სურსათში სუდანის ჯგუფის საღებავების აღმოჩენის ფაქტს, სააგენტომ განახორციელა მითითებული ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლი.
სახელმწიფო კონტროლისას ბიზნესოპერატორებს დაევალათ სურსათის იმ პარტიების ბაზარზე განთავსების აღკვეთა ან უკვე განთავსებულის ამოღება, რომლებშიც სუდანის ჯგუფის საღებავები აღმოჩნდა. მიკვლევადობით დადგინდა ბიზნესოპერატორების (მათ შორის, იმპორტიორების) რეკვიზიტები, რომლებიც ამ წარმოებებს წითელი წიწაკით ამარაგებენ.
სუდანის ჯგუფის საღებავების კვლევის მიზნით, სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა აიღეს წითელი წიწაკის ნიმუშები, რომლებსაც აკრედიტებული ლაბორატორია გამოიკვლევს.
ლაბორატორიული გამოცდის შედეგებს და ამ შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამის გადაწყვეტილებებს გაცნობებთ დამატებით.

ვასილ ბასილაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge